

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

17. 05. 2016 წელი

1 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა
და ეკონომიკის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N29/36

2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ	5
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	8
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა.....	8
☐ მყარი ნარჩენების პროექტი.....	8
☐ სახელმწიფო შესყიდვები	10
☐ პრივატიზაცია	13
☐ პრივატიზებული ქონების იპოთეკით დატვირთვა და დაყადაღება	14
☐ ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.....	15
☐ საჯარიმო სანქციებისაგან გათავისუფლება	17
☐ ქონების მართვა	18
☐ საწარმოთა მართვა.....	18
• შრომის ანაზღაურება	21
• ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა.....	22
• დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები.....	27
ანგარიშგების ფორმები	28

შემოკლებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო-სამინისტრო
2. სსიპ „ბათუმის ბულვარი“ - ბულვარი

ზოგადი ინფრომაცია

სამინისტროს ამოცანები და ფუნქციებია: სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საფინანსო სისტემის მართვა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება; „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტის, საჭიროების შემთხვევაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონში ცვლილებების თაობაზე კანონის პროექტის მომზადება და განსახილველად წარდგენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის კოორდინაცია; „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისაგან უფლებამოსილი ხელისუფლების ორგანოს მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობის, მართვისა და განკარგვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებით დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში ქონების პირდაპირი მიყიდვის/გადაცემის (კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის/გადაცემის) საკითხებთან დაკავშირებული ფუნქციების განხორციელება;

სამინისტროს საბალანსო მონაცემების შესაბამისად, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა ღირებულება შეადგენს 11238623 ლარს. სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული პირებია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახური, სსიპ „ბათუმის ბულვარი“, სსიპ „ტექნიკური სამშენებლო ლაბორატორია“, ა(ა)იპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი“.

სამინისტრო არის საბიუჯეტო დაწესებულება და მისი დაფინანსების წყაროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულია:

2013 წელი	2014 წელი	2015 წელი
12825,8	14036,9	10992,5

ცხრილი N1. სამინისტროს მიერ მიღებული დაფინანსებები (ათასი ლარი)

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელმაც მოიცვა სამინისტროს 2015 წლის ნაერთი ბალანსის, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებები. 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. სამინისტროს მიერ საპრივატიზებო ქონების არასათანადოდ შესწავლისა და ფაქტობრივ გარემოებებზე არასათანადო რეაგირების შედეგად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ბიუჯეტიდან დაბრუნებას დაექვემდებარა 100000 აშშ დოლარი და ბაჟის სახით ზედმეტად გადახდილია 5400 ლარი.

ქალაქ ბათუმში, ერას ქუჩა N9/11-ში მდებარე 463,83 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართისა და მასზე წილობრივად მიმაგრებული 1108,88 კვ.მ მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით, 2006 წლის 21 ნოემბერს გამართულ აუქციონზე

გამარჯვებულად გამოვლინდა ოთარ ბერიძე, რომლის მიერ გადახდილი იქნა „ბე“ 100000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით¹, გამარჯვებულის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ქონების საბოლოო გამოსასყიდი ღირებულების გადაუხდელობის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდა ზემოთ აღნიშნული აუქციონის ვაჭრობის შედეგები, მოქალაქე ოთარ ბერიძეს ჩამოერთვა გამარჯვებულის სტატუსი და მის მიერ „ბეს“ სახით გადახდილი თანხა უკან არ დაუბრუნდა. აღნიშნულთან დაკავშირებით მოქალაქემ მიმართა სასამართლოს ბრძანების გაუქმებისა და „ბეს“ დაბრუნების მოთხოვნით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 29 ივლისის განჩინებით, ძალაში დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საპრივატიზებოდ გამოტანილი ქონება, ჩაითვალა უფლებრივად ნაკლის მქონედ და სამინისტროს დაეკისრა მოქალაქის სასარგებლოდ „ბეს“ სახით გადახდილი 100000 აშშ დოლარის და სახელმწიფო ბაჟის 5 400 ლარის გადახდა.

2. სსიპ „ბათუმის ბულვარი“ სრულად არ ხდებოდა ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული აქტივების, ქონების გადასახადით დაბეგვრა და შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვა.

სსიპ „ბათუმის ბულვარი“ ახდენს აქტივების სასყიდლიანი ფორმით სარგებლობაში გადაცემას, რისთვისაც აუქციონზე დაფიქსირებული ფასის შესაბამისად ღებულობდა შემოსავალს. აღნიშნული საქმიანობა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, ითვლება ეკონომიკურ საქმიანობად. შესაბამისად, ქონების გადასახადით დასაბეგრ ბაზაში არ არის შეყვანილი ბულვარის ადმინისტრაციული შენობა, რომელიც 2010 წლის 8 ნოემბრის ხელშეკრულებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულია ქალაქ ბათუმის მერიის მიერ და რომელიც გამოიყენებოდა ეკონომიკურ საქმიანობაში. შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობის მოთხოვნა², რომლის მიხედვითაც ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადით დასაბეგრ ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული, ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობები.

¹ ბრძანება #1275, 25/12/2006წ.

² საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“, 203 -ე მუხლის „ბ“, და 206-ე მუხლის 1 პუნქტი „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნები.

3. სსიპ „ბათუმის ბულვარის“ ბალანსზე არ არის აღრიცხული 83 ერთეული ფრინველი.

სსიპ „ბათუმის ბულვარის“ საბალანსო მონაცემების შესაბამისად, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხებოდა 58 ერთეული კულტივირებული აქტივი. მათ შორის: 8 დასახელების, 54 ერთეული ფრინველი და 4 ერთეული ხმელეთის კუ. აუდიტის პერიოდში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად ადგილზე აღმოჩნდა 141 ერთეული კულტივირებული აქტივი, რომელთაგან 83 ერთეული 6 დასახელების ფრინველი არ არის აღრიცხული ბალანსზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფრინველებისათვის საკვები პროდუქტის შესყიდვა და ჩამოწერა რეალურად არსებული რაოდენობების შესაბამისად წარმოებდა.

4. სსიპ „ბათუმის ბულვარში“ სრულად არ ხდებოდა საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს დარიცხვა, რაც 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამში 4396 ლარს შეადგენს.

სსიპ „ბათუმის ბულვარი“ მის სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარით გაცემის მიზნით აცხადებდა აუქციონებს, რომლის შედეგების შესაბამისად მოიჯარებთან ფორმდებოდა ხელშეკრულებები. 2015 წელს, საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო, შეწყვეტილი იქნა 3 ხელშეკრულება, თუმცა მოიჯარეებს არ დაკისრებიათ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და ასევე შეწყვეტამდე საიჯარო საგნით სარგებლობის ქირა. აღნიშნული საფუძველით შეწყვეტილი ხელშეკრულებების შედეგად, მოიჯარესათვის თანხების დაკისრების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო 4396 ლარის შემოსავლის მიღება. მათ შორის 3699 ლარი მოიჯარეებს უნდა დარიცხოდეთ საიჯარო ქირის სახით, ხოლო 633 ლარი კი პირგასამტეხლოს სახით.

N	ხელშეკრულების N თარიღი	მოიჯარე	იჯარის გადასახადი	გადაუხდელი საიჯარო ქირის ოდენობა	ვდაგადაცი ლებული დღეების რაოდენობა	ჯარიმის ოდენობა ლარებში	ქირის თანხა (ბე-ს გამოკლებით)	სულ
1	N90 15.06.2015	ფრიდონ ფუტყარაძე	11000	10000	14	140	662	802
2	N89 15.06.2015	ავთანდილ დუმბაძე	13220	12220	14	171	997	1168
3	N80 12.06.2015	ჯაბა გოხიძე	20356	18956	17	322	2040	2362
	ჯამი					633	3699	4332

ცხრილი N2. საიჯარო ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად დარიცხული პირგასამტეხლოების შესახებ

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტამდე, იმ დროს როდესაც ქონება არ იყო უფლებრივად თავისუფალი, იმავე ქონებაზე გამოცხადებულია ახალი აუქციონი.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდებისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

• მყარი ნარჩენების პროექტი

2010 წლის 18 თებერვალს ხელი მოეწერა „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ სასესხო ხელშეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (ბანკი) და საქართველოს შორის, რომლის თანახმად ბანკი დათანხმდა საქართველოს გამოუყოს 3000,0 ათასი ევრო. აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, 2010 წლის 18 თებერვალს ხელი მოეწერა „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ განხორციელებისა და მხარდაჭერის ხელშეკრულებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, თვითმმართველ ქალაქ ბათუმს, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ბანკს შორის და ამავე დღეს გაფორმდა „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ განხორციელების ხელშეკრულება შპს „ჰიგიენა -2009“-სა და ბანკს შორის. აღნიშნული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, 2010 წლის 20 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის გაფორმდა ქვესასესხო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან, სასესხო ხელშეკრულებითა და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის, უნდა მიეღო 3000,0 ათასი ევრო. აღნიშნული ხელშეკრულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, სესხის მიმღები აუთვისებელ ნაწილზე იხდის ვალდებულების გადასახადს წლიური 0,5%-ის ოდენობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და კომპანია „SWECO“-ს შორის, 2013 წლის 17 დეკემბერს გაფორმდა ახალი ხელშეკრულება საინჟინრო და საზედამხედველო მომსახურების შესყიდვის შესახებ, რომლის ღირებულებაც 482400 ევროთი განისაზღვრა. მათ შორის 399300 ევრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდება, ხოლო 83100 ევრო, პროექტის მხარდაჭერისათვის გამოყოფილი გრანტის აუთვისებელი ნაწილია, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, კომპანია „SWECO“-ს მიერ გასაწევი მომსახურებისათვის გამოყოფილი გრანტიდან, 2013 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით³, აუთვისებელი იყო 90,4 ათასი ევრო, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხაზე 7,4 ათასი ევროთი მეტი.

აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, აუდიტის პერიოდისათვის არ განხორციელებულა ხელშეკრულების ცვლილება, რითაც მოხდებოდა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის სრულად ათვისება და შესაბამისად დაიზოგებოდა საბიუჯეტო სახსრები. სამინისტროს საბუღალტრო მონაცემების შესაბამისად, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია „SWECO“-ს შესრულებული აქვს 412371 ევროს ღირებულების მომსახურება, საიდანაც სამინისტროს მიერ დამოწმებული ინვოისების საფუძველზე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ანაზღაურებულია 83030 ევრო, სამინისტროს მიერ გადახდილია - 189915 ევრო და ასანაზღაურებელია 139426 ევრო. ამასთან აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 70000 ევროს ღირებულების სამუშაოთა საავტორო ზედამხედველობის მომსახურება, აუდიტის პერიოდისთვის არ არის შესრულებული.

კომპანია „SWECO“-ს მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით 127684 ევროს დაკისრებისა და სესხის აუთვისებლობისათვის ვალდებულების გადასახადის სახით მიყენებული ზიანის 11015 ევროს გადახდის მოთხოვნით, სამინისტროს მიერ 2015 წლის 9 ივლისს ქალაქ ბათუმის სასამართლოში შეტანილია სასარჩელო განცხადება. თუმცა, ამავე დროს კომპანია „SWECO“, თავის სასარჩელო განცხადებაში, ითხოვს შესრულებული მომსახურების ღირებულებისა და თანხის არათავისდროული გადახდისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რაც კომპანიის გათვლებით, 2015 წლის 7 აგვისტოს მდგომარეობით 208984 ევროს შეადგენს.

ამრიგად, კომპანია „SWECO“-სთან, 2013 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხი სასამართლო განხილვის ეტაპზეა. შესაბამისად 2015 წლის განმავლობაში, ისევ ვერ მოხერხდა სესხის სახით გამოყოფილი თანხის ათვისება და ხელშეკრულების მე-3

³ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2013 წლის 17 დეკემბრის N272 ხელშეკრულების გაფორმების თარიღი

პუნქტის საფუძველზე აუთვისებელ ნაწილზე ვალდებულების გადასახადის სახით გადახდილია სულ 191711 ლარი. მათ შორის 2011 წელს - 51000 ათასი ლარი, 2012 წელს - 34000 ლარი, 2013 წელს - 33600 ლარი, 2014 წელს - 35200 ლარი და 2015 წელს - 37911 ლარი.

• სახელმწიფო შესყიდვები

აუდიტის პერიოდში სამინისტროს აპარატის მიერ გამოცხადებული იქნა 35 ტენდერი. მიღებული შედეგების გათვალისწინებით ხელშეკრულებები გაფორმდა 27 შემთხვევაში, უარყოფითი შედეგით დასრულდა 3, ტენდერი არ შედგა 2 და შეწყვეტილია 3 შემთხვევაში.

➤ სოფელ ვაშლოვანში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის კანალიზაციის, სანიაღვრე არხებისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, ხელშეკრულება⁴ შპს „ე-კონთან“ გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის ფორმით. წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად, აუდიტის პერიოდში შპს „ე-კონს“ შესრულებული აქვს 167654 ლარის ღირებულების სამუშაოები, რომელთა ანაზღაურების მიზნით სამინისტროს მიერ ავანსად გაცემული თანხიდან გაქვითულია 87069 ლარი, გადარიცხულია შემსრულებლის ანგარიშზე 95563 ლარი და ვალდებულებად, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული თანხის სახით ირიცხება 5030 ლარი. სამინისტროს მიერ ანგარიშსწორება განხორციელებულია იმ პირობებში, როდესაც მიმწოდებლების მიერ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ, რითაც დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტი.

ანალოგიურად აღნიშნულისა, სსიპ „ბათუმის ბულვარსა“ და შპს „დიზაინს“ შორის 2015 წლის 20 მაისს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ბულვარის ტერიტორიის (სასტუმრო „ჰილტონსა“ და კაფე-ბარი „რვაფეხას“ მიმდებარე ტერიტორია) მოპირკეთებითი სამუშაოების ღირებულების სახით ანაზღაურებულია 18227 ლარი. ანგარიშსწორება ამ შემთხვევაშიც განხორციელებულია ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენლობის პირობებში.

შედეგად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო

⁴ ხელშეკრულება N178. 24.07.2015. ღირებულება 290230 ლარი.

შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტის მოთხოვნების დარღვევით, ჯამში დამკვეთების მიერ ანაზღაურებულია 185881 ლარი.

➤ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N43 განკარგულებით, სამინისტროს მიეცა თანხმობა სარეკლამო ვიდეო რგოლის „აჭარა როგორც საინვესტიციო გარემო“ -ს შესყიდვა განხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. შესაბამისად, 2015 წლის 11 მარტს, შპს „სტუდია მეტროსთან“ გაფორმდა ხელშეკრულება 65000 ლარის ღირებულებით, რომელიც აჭარის რეგიონში 2,5-3 წუთამდე სარეკლამო რგოლების გადაღებასა და მიწოდებას ითვალისწინებდა.

გამარტივებული შესყიდვის გამოყენებას საფუძველად დაედო 2015 წლის მარტში დაგეგმილი ბიზნეს ფორუმი, რომელიც სამინისტროს ორგანიზებით ყაზახეთში ქალაქ ასტანაში უნდა ჩატარებულიყო. სამინისტროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ამ ღონისძიებისათვის მზადება 2015 წლის იანვარ-თებერვლის თვეში დაიწყო და შესაბამისად მარტის თვეში დაგეგმილი ღონისძიებისათვის საჭირო სარეკლამო რგოლის შესყიდვას, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, დროში შეზღუდვის გამო, ვერ განახორციელებდნენ.

აღსანიშნავია, რომ სარეკლამო ვიდეო რგოლის შესყიდვისათვის ასიგნება გათვალისწინებულია „რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში და მისი დამტკიცება, რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცებასთან ერთად ხორციელდება. შესაბამისად, 2014 წლის 18 დეკემბრიდან (2015 წლის ბიუჯეტის მიღების თარიღი) სამინისტროსათვის ცნობილი იყო სარეკლამო ვიდეო რგოლის შესყიდვის აუცილებლობა და დროში შეზღუდვის მოტივით გამარტივებული შესყიდვის გამოყენება საფუძველს მოკლებულია. მიგვაჩნია, რომ შესყიდვების თავისდროული და სათანადო დაგეგმვისა და განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების თავიდან აცილება.

➤ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 6 ოქტომბრის N189 განკარგულებით, სსიპ „ბათუმის ბულვარს“ მიეცა უფლება ბათუმის ბულვარის განვითარების კონცეფციის შემუშავება-დაგეგმარებისა და ბათუმის ბულვარის ტოპოგრაფიული გეგმის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებინა გამარტივებული ფორმით. აღნიშნულის საფუძველზე, 2015 წლის 7 ოქტომბერს, შპს „სასტუმრო სანატორიუმ

ოაზისთან“ გაფორმდა ხელშეკრულება 240000 ლარის ღირებულებით. მომსახურების შესყიდვა მრავალწლიანი შესყიდვის ფორმით განისაზღვრა და ის ბუღვარის საკუთარი შემოსავლებიდან ფინანსდება.

გამარტივებული შესყიდვის გამოყენებას საფუძვლად დაედო ბათუმის ბუღვარის განვითარების კონცეფციის შემუშავება-დაგეგმარების საერთო კომისიის სხდომის ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ სსიპ „ბათუმის ბუღვარმა“ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უმოკლეს ვადებში განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვა, თუმცა არგუმენტები იმისა თუ რაში მდგომარეობს აღნიშნული ღონისძიების (ბათუმის ბუღვარის განვითარების კონცეფციის შემუშავება-დაგეგმარება და ბათუმის ბუღვარის ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა) შესყიდვის გადაუდებელი აუცილებლობა, აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი.

აუდიტის პერიოდში, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულია ბათუმის ბუღვარის ტოპო გეგმა, ხოლო ბუღვარის განვითარების კონცეფციის მიღების საბოლოო ვადა 2016 წლის 15 მაისით არის განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ ბათუმის ბუღვარში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისა და ბუღვარის განვითარების კონცეფციის ურთიერთკავშირი დოკუმენტურად არ დასტურდება.

➤ 2015 წლის 15 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „ვლს“-მა აიღო ვალდებულება ბათუმის ბუღვარში არსებული 7 შადრევანის მოვლა - ექსპლუატაციასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების ღირებულება 199904 ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა შადრევნების გამართულ და შეუფერხებელ მუშაობაზე ყოველდღიურ მონიტორინგს, დაზიანებული დეტალების გამოცვლას, დაზიანებული წყლის ზედაპირის, გრანიტის მოაჯირისა და სახურავის გაწმენდას, შადრევანის აუზში დამონტაჟებული გადასასვლელი ხიდის ანტიკოროზიული წყალმდეგი საღებავით შეღებვას, შიდა კედლების ფსკერის ზედაპირის, აუზში მეტალის მილებისა და გარე კედლების ზედაპირის დამუშავებასა და შეღებვას.

აღნიშნულის მიუხედავად, ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის აღნიშნული შესრულებული სამუშაოების სახეობები და მოცულობები და მითითებულია მხოლოდ შპს „ვლს“-ის თანამშრომლის შრომის ანაზღაურების თანხა.

➤ შპს „მარეთი 777“-თან 2015 წლის 6 მარტსა და 13 მაისს გაფორმდა ხელშეკრულებები⁵ ბათუმის ბუღვარის ტერიტორიაზე სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად სპეციალური ავტოტექნიკის საშუალებით მომსახურების შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულებების ღირებულებები შესაბამისად 39999 ლარით და 18776

⁵ SPA150004264, ხელშეკრულება N2/16 და , SPA 150011858 ხელშეკრულება N2/23

ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა სატვირთოს, კოვშიანი და ნიჩბიანი ექსკავატორის, დამტვირთავის, სატვირთო ავტოტრანსპორტის ავტოამწის, დამტვირთავისა და ასინიზაციის ავტომატური მომსახურებას. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის აღნიშნული შესრულებული სამუშაოების სახეობები და მოცულობები და მითითებულია მხოლოდ დაქირავებული ტექნიკის საათობრივი და რაოდენობრივი დატვირთვა.

შედეგად, სსიპ „ბათუმის ბულვარში“, ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, არასათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე გახარჯულია 258679 ლარი.

• პრივატიზაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წელს პრივატიზებულია სულ 35 ობიექტი. მათ შორის: 4 პირდაპირი მიყიდვის, 17 პირობიანი აუქციონის და 24 უპირობო აუქციონის ფორმით. ამავე პერიოდში მიმდინარეობდა 118 ობიექტის პრივატიზებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი. ამასთან, აღნიშნული საქმეებიდან 9 საქმე, 2012-2013 წლებში, შემდგომი რეაგირების მიზნით გადაცემულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, კერძოდ:

N	საქმის დასახელება	მყიდველი
1	შპს „ქ. ბათუმის N3 საავადმყოფოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 100% წილი	შპს „ლადალია“
2	ქ. ბათუმში, თამარის დასახლება, თამარ მეფის გზატკეცილზე მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობა და მასზე მიმაგრებული 22566 კვ.მ მიწის ნაკვეთი	შპს „GEORGIA INN“
3	ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ. #30 მდებარე შენობა-ნაგებობა (1799 კვ.მ) და მასზე მიმაგრებული 1362 კვ.მ მიწის ნაკვეთი. (მეზღაურთა საავადმყოფო)	შპს „გოგებაშვილი 30“
4	აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული სს „აჭარის კურორტების“ 100%-იანი და სს „მესხეთის“ 52,83%-იანი აქციათა პაკეტი. ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N1	შპს „აჭარა რიზორტ ჰოლდინგ BB.V“
5	ქ. ბათუმში, ლესელიძის ქ. #6-ში მდებარე 1211,41 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 753 კვ.მ მიწის ნაკვეთი	არტურ მურადიანი
6	ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ. N10/12-ის მიმდებარე მდებარე 1621 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	შპს "ADOG-GEORGIA"
7	ქ. ბათუმში, ს. ხიმშიაშვილის ქუჩის მიმდებარე სასტუმრო „მარინასა“ და აკვაპარკს შორის მდებარე 9900 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	შპს „ეს დაბლიუ-ინს“
8	შპს „ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრის“ და შპს „ბათუმის სამშობიარო სახლის“ 100%-იანი წილი.	შპს „ავანტე“
9	აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, შავშეთის/გოგებაშვილის ქ. N2,4,6/60 მდებარე 4706,21 კვ.მ შენობა-ნაგებობა და 5196 კვ.მ მიწის ნაკვეთი	შპს „მერსინ ტურიზმი“

ცხრილი N3 ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურზე გადაცემული მასალების შესახებ

• პრივატიზებული ქონების იპოთეკით დატვირთვა და დაყადაღება

2008-2012 წლებში პრივატიზებული ქონების იპოთეკით დატვირთვისა და დაყადაღების გამო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის მიუხედავად, კვლავ ვერ ხერხდება 160000 აშშ დოლარისა და 2476800 ლარის ღირებულების ქონების ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში დაბრუნება. კერძოდ,

ობიექტის დასახელება	მყიდველი	ვალდებულების შესრულების ვადა	ქონების იპოთეკით დატვირთვის თარიღი	ქონების ღირებულება
ქ. ქობულეთში, თამარ მეფის სანაპირო N74 -ში მდებარე ყოფილი N1 მუსიკალური სკოლის შენობა ფართით 451,1 კვმ და მასზე დამაგრებული 1050 კვმ მიწის ნაკვეთი	ნოდარ ბერიშვილი	29.11.2010	29.06.2008	160000 ათასი აშშ დოლარი
აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული ქონების სს „გომარდულისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ	სს „გომარდული“	20.12.2013	27.11.2012	2157200 ლარი
შუახვის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანაში მდებარე 4837,11 კვ.მ შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული 25629,4 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	შპს „ბიოპოლუსი“	30.06.2013	24.08.2011	186700 ლარი
ქობულეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ჩაქვში, ჩაის სახლის მიმდებარედ 12730 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	შპს „ჩაქვის 2005“	31.04.2014		132900 ლარი

ცხრილი N4. იპოთეკით დატვირთული ქონების შესახებ

➤ საქმეში არსებული მასალების შესაბამისად, თბილისის სააღსრულებო სასამართლოს 2013 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, მოხდა ნოდარ ბერიშვილის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაცია. სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ვალდებულება გადავიდა ქონების ახალ მესაკუთრე სს „საქართველოს ბანკზე“, რომელიც ვალდებულების შესრულებაზე უარს აცხადებს.

➤ სს „გომარდულის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, 2014 წლის 30 აპრილს დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოება ხელშეკრულების გაუქმებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ. ახალი საინვესტიციო წინადადების შესახებ, მყიდველის 2014 წლის 24 ივნისის წერილის შესაბამისად, 2014 წლის 1 ივლისს, მთავრობის თავმჯდომარის სახელზე გაკეთდა წარდგინება ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ, თუმცა აუდიტის პერიოდისთვის გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

➤ შპს „ბიოპოლუსის“ მიერ, 2015 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, არ არის გადახდილი ნასყიდობის თანხა და არ არის შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რის გამოც ხდება საჯარიმო სანქციების

გამოყენება. ხელშეკრულების გაუქმებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2014 წლის 9 სექტემბერს, თუმცა გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოშლის შესახებ მიღებული არ არის და 186,7 ათასი ლარის ღირებულების ქონება კვლავ შპს „ბიოპოლუსის“ საკუთრებაშია.

➤ შპს „ჩაქვი 2005“-ის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, განხორციელებულია 373.8 აშშ დოლარის ინვესტიცია, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად შესრულებისათვის, რის გამოც მყიდველის მხრიდან ვადის გაგრძელების თხოვნის მიუხედავად, სამინისტროს 2015 წლის 21 იანვრის Nს-20 ბრძანების შესაბამისად მოიშალა ხელშეკრულება. შპს „ჩაქვი 2005“-ს გადასახდელად პირგასამტეხლოს სახით დაერიცხა 308,8 ათასი ლარი და 6,9 ათასი დოლარი და მის საკუთრებაში რიცხული ქონების, ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში დაბრუნების თხოვნით გაკეთდა მიმართვა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოზე. აღნიშნული თხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან შესყიდულ ქონებაზე რეგისტრირებულია ყადაღა.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში, პრივატიზებული ქონების იპოთეკით დატვირთვისა და დაყადაღების გამო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის პირობებში, სამინისტროს მხრიდან გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ვერ ხერხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში ქონების დაბრუნება.

• **ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება**

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2015 წელს სამინისტრო ახორციელებდა პირობების შესრულების მონიტორინგს 118 ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. საქმეში არსებული მასალების შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულებებიდან 34 შემთხვევაში, საერთო რაოდენობის 28,8 პროცენტი, ვერ ხერხდება დადგენილ ვადებში ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულებულად ჩაითვალა 14 შემთხვევაში, ვალდებულებების შესრულება გადავადდა და დარიცხული საჯარიმო სანქციები ჩამოიწერა 22 შემთხვევაში, ხოლო 4 შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის პირობებში, გადაწყვეტილებები არ არის მიღებული. ამასთან, ადგილი აქვს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე არათავისდროული და

არასათანადო კონტროლის დაწესებისა და არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტებს. მაგალითად:

➤ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ნონოშვილის, დ. თავდადებულისა და რუსთაველის ქუჩებს შორის მდებარე 7007 კვ.მ ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიყიდვის შესახებ შპს „აქტივ ბათუმთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2012 წლის 5 ნოემბერს, გადაწყვეტილება ხელშეკრულების გაუქმების შესახებ მიღებულია 2015 წლის 23 იანვარს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2015 წლის 18 მაისის N129 ბრძანების შესაბამისად, შპს „აქტივ-ბათუმის“ ადმინისტრაციული საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სამინისტროს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულყოფილი და სათანადო გამოკვლევის საფუძველზე, გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუმცა აუდიტის პერიოდში, სამინისტროს მხრიდან ამ მიმართებით აქტივობები არ განხორციელებულა.

➤ შპს „Esco-Georgia“-ს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წარდგინება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაგზავნილია 2013 წლის 3 ოქტომბერს, თუმცა გადაწყვეტილება არ არის მიღებული;

➤ შპს „JASMINE“-ს 2014 წლის 20 ოქტომბრის წერილს, მშენებლობის ნებართვის აღებასთან დაკავშირებით, ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების გადავადების შესახებ, აუდიტის პერიოდში რეაგირება არ მოჰყოლია.

➤ შპს „ბუხარა-გეოს“ 2015 წლის 4 მაისის N01 წერილი, ნესყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ქონების იპოთეკით დატვირთვის შესახებ, 2015 წლის 16 ივნისისათვის უარყოფილი იქნა, თუმცა იგივე თხოვნა, 2015 წლის 15 ოქტომბრისათვის დაკმაყოფილდა. ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში არ არის განმარტებული სამინისტროს მხრიდან საკითხისადმი განსხვავებული მიდგომის საფუძვლიანობა.

ნასყიდობის ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობისათვის დარიცხული საჯარიმო სანქციების, ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღების მიზნით, შესაბამისი სარჩელები შეტანილია სასამართლოში. 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასრულებულია 35 საქმე და 44078426 ლარის და 1423759 აშშ დოლარის ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღების მიზნით მასალები გადაგზავნილია აღსრულების ეროვნულ ბიუროში. აღნიშნული თანხებიდან აუდიტის პერიოდში ამოღებულია 375808 ლარი, თუმცა მიუხედავად ამისა, 2016 წლის 1 იანვრის

მდგომარეობით, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად დარიცხული თანხებიდან ნაშთად ირიცხება 4240799 ლარი და 6831157 აშშ დოლარი.

• საჯარიმო სანქციებისაგან გათავისუფლება

2015 წელს საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის მოტივით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე, სამინისტროს წინადადების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, ქონების მყიდველები, 22 შემთხვევაში პირობით⁶ გათავისუფლდნენ ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დარიცხული 4709999 ლარისა და 1890272 აშშ დოლარის საჯარიმო სანქციისაგან. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მოტივით 2014 წელს 25 შემთხვევაში ჩამოეწერათ ნასყიდობის ხელშეკრულებების პირობების დარღვევისათვის საჯარიმო სანქციის სახით დარიცხული 3739800 ლარი.

ნასყიდობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისათვის დარიცხული საჯარიმო სანქციებისაგან გათავისუფლებას საფუძვლად უდევს სამინისტროს შესაბამისი მიმართვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისადმი, რომლის მოწონების შემთხვევაში, მთავრობის შესაბამისი განკარგულებით, სამინისტროს ენიჭებოდა საჯარიმო სანქციებისაგან გათავისუფლების უფლება.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, საკუთრებაში ან სარგებლობაში ქონების გადაცემასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობისათვის დარიცხული სანქციებისაგან გათავისუფლება, დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს. ჩატარებული აუდიტით გამოვლინდა შემთხვევები, როცა სანქციებისაგან გათავისუფლება არაარგუმენტირებულად არის განხორციელებული, მაგალითად:

➤ შპს „ESco-Georgia“-ს ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, 2015 წლის 18 ივნისის მდგომარეობით საჯარიმო სანქციის სახით ერიცხებოდა 136226 ლარი, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 8 ივლისის N119 განკარგულებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების

⁶ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღდგენილი იქნება საჯარიმო სანქცია სრული ოდენობით.

პირობით, ჩამოეწერა. ჩამოწერის საფუძველად ფინანსური რესურსის მოზიდვის გაჭიანურება სახელდება;

➤ შპს „გლორიას“ ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, 2015 წლის 18 მარტის მდგომარეობით საჯარიმო სანქციის სახით ერიცხებოდა 1166765 ლარი, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 8 აპრილის N61 განკარგულებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების პირობით, ჩამოეწერა. ჩამოწერის საფუძველად საპროექტო დოკუმენტაციაში შეტანილი ცვლილებები სახელდება, თუმცა აღნიშნულის გავლენა 291 დღიან ვადაგადაცილებაზე არ არის დასაბუთებული.

მიგვაჩნია, რომ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობისათვის დარიცხული სანქციებისაგან გათავისუფლება, დამატებით დასაბუთებას მოითხოვს.

● ქონების მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2014 წლის Nს-157 ბრძანების შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ გამოვლენილია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების არამართლზომიერი გამოყენების 43 შემთხვევა, რომლებიც 2008-2012 წლებშია რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად. კომისიის მიერ გამოვლენილი უკანონო ქმედებების აღკვეთის მიზნით, სამინისტროს მიერ ქმედითი ღონისძიებები არ არის გატარებული. შედეგად, ქონების არამართლზომიერი გამოყენება 2015 წლის განმავლობაშიც გრძელდებოდა. ამასთან, კომისიის მიერ გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით, ქონების სარგებლობის საფასურის სახით დარიცხვას დაექვემდებარა 2638761 ლარი, საიდანაც აუდიტის პერიოდისათვის ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხები არ არის ჩარიცხული.


● საწარმოთა მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ 61 საწარმოდან, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების მიხედვით, 2014 წელი მოგებით დასრულებული აქვს 14 საწარმოს, ანუ 22,9 პროცენტს.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად, წლიური ფინანსური მოგება 2550190 ლარს შეადგენს, საიდანაც წინა წლების დაუფარავი ზარალის გადაფარვის და დარიცხული მოგების გადასახადის გაქვითვის გათვალისწინებით, 2014 წლის წმინდა მოგება 1932718 ლარით განისაზღვრა. პარტნიორთა საერთო კრების მიერ

მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, 2014 წლის მოგებიდან, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის, საწარმოებში დატოვებული იქნა 22530 ლარი⁷. ამავე დროს გასული წლების მონაცემებით, დარჩენილი გადასახდელი და საწარმოებში დატოვებული თანხების გათვალისწინებით, 2014 წელს დივიდენდის სახით გადახდას დაექვემდებარა 2702140 ლარი. სახაზინო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2015 წელს დივიდენდის სახით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებში ჩარიცხულია 1317537 ათასი ლარი, ანუ 48,8 პროცენტი.

საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები 2011-2015 წლებში
(ათასი ლარი)



დიაგრამა N1. 2011-2015 წლებში მიღებული დივიდენდების შესახებ

როგორც ზემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს, საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების მოცულობას 2011-2015 წლებში ზრდის ტენდენცია ახასიათებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 61 საწარმოდან, 2015 წელს დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 10 საწარმოს, საიდანაც 3 საწარმოს⁸ მიერ გადახდილი დივიდენდების საერთო წილი 79 პროცენტს შეადგენს. 2015 წელს დივიდენდის სახით ბიუჯეტში გადახდილია:

⁷ სს „ბათუმის ავტოსადგური“- 22530 ლარი

⁸ შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონალური ცენტრი“- 224,8 ათასი ლარი, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ – 203,3 ათასი ლარი, შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ -617,5 ათასი ლარი.

N	დასახელება	თანხა (ათასი ლარი)
1	შპს „თმარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრი“	110,8
2	შპს „აჭარის ა.რ. სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური“	27,0
3	შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონალური ცენტრი“	224,8
4	შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“	17,3
5	შპს „ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“	203,3
7	შპს „აჭარის ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრი“	16,3
8	შპს „მახინჯაურის პოლიკლინიკა“	27,7
9	შპს „რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო“	67,7
10	შპს „ნარკოლოგიური ცენტრი“	5,1
11	შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“	617,5
	ჯამი	1317,5

ცხრილი N5. რესპუბლიკურ ბიუჯეტში 2015 წელს ჩარიცხული დივიდენდის შესახებ

საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს მართვაში არსებული საწარმოების მიერ წარმოდგენილი 49 ფინანსური ანგარიშგებიდან, განხილული იქნა 25 საწარმოს 2014 წელს გაწეული საქმიანობის წლიური შედეგები და მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები, თუმცა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განუხილველია 24 საწარმოს ფინანსური ანგარიშები. განუხილველია არამომგებიანი (13 საწარმო), გაკოტრების რეჟიმში მოქცეული (10 საწარმო) და ლიკვიდირებული (1 საწარმო) საწარმოების ანგარიშები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ:

➤ შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ საბალანსო მონაცემების დაზუსტება, აუდიტის სამსახურის მიერ გაკეთებული რეკომენდაციების მიუხედავად, 2015 წლისათვის ვერ მოხერხდა, რის გამოც ვერ განხორციელდა საგადასახადო დეკლარაციების კორექტირება და ბიუჯეტთან შესაბამისი ანგარიშსწორება, როგორც გადასახადების, ასევე დივიდენდის სახით;

➤ შპს „სარემონტო სამშენებლო სამმართველოს“ კაპიტალში შეტანილი 25 უმოქმედო საზოგადოების წილის რეალიზაცია შეფერხებებით მიმდინარეობს. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნული საწარმოებიდან ლიკვიდირებულია მხოლოდ 2 საწარმო, შპს „მეხანძრე“ და შპს „ტურბაზა მწვანე კონცხი“, ხოლო დანარჩენ საწარმოთა წილებთან დაკავშირებით, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია სამინისტროსთვის უცნობია.

➤ სს „ბათუმის ავტოსადგურის“ (ავტონომიური რესპუბლიკის წილი 30,91%) აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, სამინისტროს საწინააღმდეგო პოზიციის მიუხედავად, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელი წმინდა მოგება 485409 ლარი, ისევ არ დაექვემდებარა განაწილებას და ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების მიზნით დატოვებულია საწარმოში. სს „ბათუმის ავტოსადგურის“ 2015 წლის ბალანსი, აუდიტის მიმდინარეობის

პერიოდისთვის, სამინისტროში წარმოდგენილი არ არის. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმის შესაბამისად⁹, 2015 წლამდე გაუნაწილებელი მოგების ანგარიშიდან გახარჯულია 506059¹⁰ ლარი, რაც 43180 ლარით მეტია ამ პერიოდისთვის საზოგადოებაში დატოვებულ წმინდა მოგების თანხაზე.

• შრომის ანაზღაურება

2015 წლის თავდაპირველი ბიუჯეტის კანონით, სამინისტროს აპარატის შრომის ანაზღაურების მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ოდენობამ 2012300 ლარი შეადგინა, თუმცა ასიგნებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად 26594 ლარით შემცირდა და 1985706 ლარის დონეზე დაფიქსირდა. 2015 წლის განმავლობაში შტატით გათვალისწინებულ საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურებაზე მიმართულ იქნა 1973889 ლარი, რაც გეგმის 99,4 %-ს შეადგენს და 15086 ლარით ნაკლებია 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

შრომის ანაზღაურება	2014 წ.	2015 წ.	სხვაობა 2015/2014
შრომის ანაზღაურება	1988975	1973889	-15086
ხელფასები ფულადი ფორმით - თანამდებობრივი სარგო	1110582	1092989	-17593
ხელფასები ფულადი ფორმით - პრემია	878393	342597	-535796
ხელფასები ფულადი ფორმით - დანამატი	0	538303	538303

ცხრილი N6. 2014-2015 წლებში გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, თანამდებობრივი სარგო შემცირებულია 17593 ლარით, პრემიის მუხლი 535796 ლარით, თუმცა 2014 წლისგან განსხვავებით (2014 წელს დანამატის სახით სამინისტროს თანამშრომლებზე თანხები არ არის გაცემული), 2015 წელს დანამატის სახით გაცემულია 538303 ლარი.

ამრიგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 1 აგვისტოს N27 დადგენილების ამოქმედებამ შეზღუდა საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირებზე პრემიის სახით გაცემული თანხების ოდენობა, თუმცა ამავე დროს, აღნიშნული რეგულაციის ძალაში შესვლის შემდეგ, მკვეთრად გაიზარდა „დანამატის“ მუხლით გაცემული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა. შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილი ჰქონდა პრემიის დანამატით ჩანაცვლების ფაქტს.

⁹ სააქციო საზოგადოება „ბათუმის ავტოსადგურის“ აქციონერთა საერთო კრების ოქმი N01. 30112015

¹⁰ 506059-485409+22530 =43180

აღსანიშნავია, რომ სამინისტროში დანამატის გაცემა ხდება შესაბამისი დასაბუთების გარეშე ან მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მუხლის მითითებით.

• ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო კოდით გათვალისწინებული, 2015 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი 12183,1 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდის საკასო ხარჯი 11685,3 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 95,9 პროცენტია. სამინისტროს სახაზინო კოდით გათვალისწინებული პროგრამების ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სახისაა:

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	12386594	10992515	1394079	88,7
სახაზინო მომსახურება	204210	197928	6282	96,9
რეკრეაციული ადგილების მოვლა-შენახვა (ბათუმის ბულვარი)	6340300	5109622	1230678	80,6
საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (გაზეთი „აჭარა“)	210872	208451	2421	98,9
დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა (ააიპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი“)	75500	75490	1010	98,7
საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა (სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია“)	395000	369560	25440	93,6
